



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს  
სახელმწიფო მინისტრის აპარატს, სახელმწიფო ენის დეპარტამენტს,  
სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების  
სკოლასა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას  
შორის

## ურთიერთთანამშრომლობის

# მემორანდუმი

ქ. თბილისი

31 მაისი, 2019 წელი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (შემდგომში - „სახელმწიფო მინისტრის აპარატი“), წარმოდგენილი სახელმწიფო მინისტრის ქეთევან ციხელაშვილის სახით, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი (შემდგომში - „დეპარტამენტი“) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის გიორგი ალიბეგაშვილის სახით, სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა (შემდგომში - „სკოლა“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან ჯაყელის სახით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (შემდგომში - „ბიბლიოთეკა“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი კეკელიძის სახით, (შემდგომში - „მხარეები“), ერთობლივი ინიციატივების განხორციელების მიზნით, ვთანხმდებით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაზე.

### 1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია ამ დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისთვის მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა.

## **2. მემორანდუმის მიზანი**

მემორანდუმის მიზანია მხარეთა საერთო ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე თანამშრომლობა. კერძოდ, ერთობლივი სასწავლო-საგანმანათლებლო-საინფორმაციო პროექტების, ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში სახელმწიფო ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაციის, წიგნიერების ხარისხის ამაღლების, ასევე სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.

## **3. მემორანდუმის ამოცანები**

მემორანდუმის ამოცანებია:

- 3.1. სახელმწიფო ენის პოპულარიზაციისა და მისი კონსტიტუციური სტატუსის განმტკიცების ხელშეწყობის მიზნით ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, კონფერენციების, სემინარების ორგანიზება;
- 3.2. საერთო ინტერესების სფეროში შემავალი საკითხების კვლევა და სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება;
- 3.3. ერთობლივი ინტერესის სფეროში შემავალი საინფორმაციო და კვლევითი ინფორმაციის გაცვლა;
- 3.4. ერთობლივი თანხმობის შემთხვევაში, სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის მიზნით ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- 3.5. ერთობლივი თანხმობის შემთხვევაში, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ერთობლივი სასწავლო პროგრამების შემუშავება ან/და კონსულტაციის გაწევა სასწავლო პროგრამებისა და მასალების შემუშავების პროცესში;
- 3.6. ერთობლივი თანხმობის შემთხვევაში, სასწავლო კურსების დაგეგმვა და განხორციელება;
- 3.7. საჭიროების შემთხვევაში საერთაშორისო პროექტებში ერთობლივი მონაწილეობა;
- 3.8. სხვა ღონისძიებების განხორციელება მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის მიზნების მისაღწევად, რომლებიც ნებადართულია კანონმდებლობით.

## **4. მხარეთა უფლებამოსილებანი**

- 4.1. მხარეებს უფლება აქვთ ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელებისათვის გამოიყენონ ერთმანეთის კუთვნილი საინფორმაციო-ანალიტიკური რესურსები ურთიერთთანხმობის საფუძველზე, კონკრეტული ღონისძიებისა თუ პროექტის მიზნების რეალიზებისთვის;
- 4.2. მემორანდუმი არ ითვალისწინებს მხარეებს შორის რაიმე სახით და/ან ფორმით ფინანსური ვალდებულებების წარმოშობას, თუ სხვა რამ არ იქნა დადგენილი დამატებითი შეთანხმების საფუძველზე.

## 5. ფორსმაჟორული გარემოებები

მხარე, რომელსაც ფორსმაჟორული გარემოებების გამო, ხელი შეეშლება თავისი ვალდებულებების შესრულებაში, არ უნდა იქნეს განხილული ამგვარი ვალდებულებების დამრღვევად და მიმართოს ყველა შესაძლო საშუალებას ფორსმაჟორულ გარემოებათა შედეგების შესამსუბუქებლად. ამავე დროს, მხარეებმა ერთმანეთთან უნდა აწარმოონ კონსულტაციები ამ მემორანდუმის შემდგომი განხორციელების საშუალებებზე.

## 6. მემორანდუმის მოქმედების ვადა და შეწყვეტა

- 6.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 3 (სამი) წლის ვადით;
- 6.2. მიზეზის დასახელების გარეშე წინამდებარე მემორანდუმის გაუქმება შესაძლებელია მეორე მხარისთვის 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების მიწოდების საფუძველზე;
- 6.3. კონკრეტული მიზეზის მითითებით მემორანდუმის გაუქმება შესაძლებელია მეორე მხარისათვის 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;
- 6.4. მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეები (მათი შესაძლებლობების ფარგლებში) ვალდებული არიან განახორციელონ ყველა შესაბამისი და აუცილებელია ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში დაწყებული პროექტების დასასრულებლად.

## 7. დასკვნითი დებულებები

- 7.1. მხარეებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება წერილობითი ფორმით (ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით);
- 7.2. მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, მემორანდუმში შესაძლებელია შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, რომლებიც მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ;
- 7.3. მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მემორანდუმის მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო;
- 7.4. მემორანდუმი შედგენილია ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

## მხარეთა ხელმოწერა


შერიგებისა და სამოქალაქო  
თანასწორობის საკითხებში  
საქართველოს სახელმწიფო  
მინისტრის აპარატი

სახელმწიფო მინისტრი - ქეთევან  
ცხელაშვილი




სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

თავმჯდომარე - გიორგი  
აღიბაგაშვილი



სსიპ ზურაბ შვანიას სახელობის  
სახელმწიფო ადმინისტრირების  
სკოლა

დირექტორი - ქეთევან ჯაყელი



საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალური დირექტორი - გიორგი  
კეკელიძე

